წელიწადი მეოთხე ფასი 7 კაპ. კვირა, 10 იანვარი 1916 წ. № 7

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი ტრიალი პირველ გვერდზე პეტიტი-ლინა 15 კ., უკანასკნელ გვერდზე 10 კ., კალენდარის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს უველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1916 წ. წელიწადი მეოთხე

„საქართველო“

უპრემიოდ ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მან. 50 კაპ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მან., პირველ მაისამდე 3 მან., პირველ ენკენისთვემდე 2 მან. 50 კაპ., თვიურად—80 კაპ.

პრემიით გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს უველა პრემიით მიიღებს.

პრემიები:

1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მარწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ეღირება 1 მან. 30 კ., რუქა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.
ფულის გაგზავნა და ხელის ღაწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, ბოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის უთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.
პროვინციებში ხელისმოწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.
გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.
რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

1916 წ. წელიწადი მეოთხე

მიიღება ხელის მოწერა

პირველი წელი პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

კაზმული და სამხატვრო კრებული

„მერანი“

კრებული წლიურ ხელის მოწერართათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.
გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მოწერთ კრებული „მერანი“ უფასოდ დაურიგდებათ.

მიიღება ხელის მოწერა

ახალი კლუბი

ერთი კვირის პროგრამა 11—16 იანვრამდე.

ორშაბათი—სინემატოგრაფი, სეანსის შემღეგ დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
სამშაბათი—კონცერტი სიმებიანი ორკესტრისა.
ოთხშაბათი—სინემატოგრაფი—სეანსის მოსრჩენისას დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
ხუთშაბათი—ქართული წარმოდგენა—პიესა „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“, კომედია ორ მოქმედებად რ. ერისთავისა, მოსრჩენისას დაუკრავს სამხედრო მუსიკა.
პარასკევი—სინემატოგრაფი—მოსრჩენისას დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
შაბათი — ოპერეტა,—წარმოდგენილ იქმნება „ვნებათ ღელვა“. (въ волнахъ страстей“) სამ მოქმედ. ვალენტინოვისა.
დასაწყისი: კონცერტებისა საღამოს 9 საათზე.
„ სპექტაკლი და ოპერეტა საღ. 8 საათზე.
„ სინემატოგრაფი საღამოს 8 საათზე.
შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, საოჯახო საღამოს შესასვლელი ფასი მამაკაცისა 1—05 კ., მანდილოსნების და სტუდენტებისა (ფორმაში). 65 კაპ.
(1—28—1)

სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)

ოთხშაბათს 13 იანვარს 1916 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
პირველად ახალი პიესა

იუდას მემკვიდრე

დრამა 5 მოქ. სობ-სამარინისა თარგ. კონსტან-ანდრონისა.

მონაწილეობას მიიღებენ: დავითაშვილი ნინო, თოიძე ნინო, ჭიქოძე ანეტა, ჯავახიშვილი ნ., გუნია ვალერიან, გომელაური ზ., იმედაშვილი ა., იშხნელი გიორგი, მგალობლიშვილი, ყივიძე იოს., სარაული გ., ჭიაურელი გ.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
ადმინისტრ. ქართული დრამატიული საზოგადოებისა.
მზადდება „ჩრდილოეთის გმირნი,“ „უბედურება“ და სხვა.
(3—27—1)

სასტუმრო „ავრორა“

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მოწყობილი ნომრები.
უაღრესი სიფაქიზე. ელექტრონის განათება
ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად
ნომრები ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებშია.
თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.
სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.
თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.
(წ.—14—7)

ქ. შ. წ.-კ. გ. ს. კავკავის განყოფილების გამგეობა

აცხადებს, რომ 1 იანვრიდან საბჭირო კავკავის ქართულ სკოლაში

ერთი მასწავლებელი

მსურველებმა თხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა გამოგზავნონ კავკავის განყოფილების გამგეობაში. მასწავლებელს ექნება თვეში თავისი ბინით ექვსი თუმანი.
(3—26—2)

ხარფუხის კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ კვირას, 10 იანვარს, დილის 11 საათზე, კლუბის შენობაში (მიხეილოვის პროსპექტი სახლი № 129 ბარტისა) გაიმართება

საგანგებო კრება

სხვა და სხვა კითხვების განსახილველათ
(2—25—2)

ექიმი

გ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

კბილის ექიმი

მამულაიშვილმა

(ტოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ჭირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ომის ამბები

ომის დეპეშები

9 იანვარი.

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა

პეტროგრადი, 8 იანვარი. ოფიციალი. დასავლეთის ფრონტი. დვინსკის რაიონში აღსანიშნავია რუსთა არტილერიის მარჯვე მოქმედება. სად. ვილეიკის რაიონში შეიპყრეს მტრის ჰაეროპლანი. ჩარტორისკის ჩრდილოეთით მტერი შეეცადა რუსთა მიერ აღებულ მწვერვალის დაჭერას, მაგრამ მოგერებულ იქმნა. ზბრაუას ჩრდილო-დასავლეთ რაიონში მტრის ჰაერის ბურთი მოსწყდა და ჰაერშივე დაიწვა. მათი კალათა რუსთა ჯარების წინ ჩამოეშვა.

კავკასიის ფრონტი. ზღვის ნაპირებზე ოსმალნი შეეცადნენ რუსების შევიწროებას, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. რუსის ჯარებმა აიღეს ქალაქი ჰასან-კალა, შემდეგ ნაოტებ მტრის დევნა განაგრძეს აზრუმის სიმაგრეებამდე. ტყვედ წამოიყვანეს 1,500 კაცი და დავლად დარჩათ აუარებელი სამხედრო მასალა, გზა და გზა პატრონები ყრია. ჩამორჩენილნი უმწეოდ დაეხეტებიან. ვანის ტბის სამხრეთ ნაპირზე რუსებმა სდევნეს ოსმალნი ვასტანის დასავლეთით. ურმიის სამხრეთით რუსებმა უკუაქციეს ქურთთა რაზმები და ჯამათის მეორე ნაპირზე გადაჰრეკეს.

პარიზი, 7 იანვარი. ვენიდან და ბერლინიდან მოსულ ცნობების მიუხედავად მთაშაველთა მინისტრ-პრეზიდენტი მიუშკოვიჩი იტყობინება, მეფე და მთავრობა ავსტრიელთა წინადადებას უარს ჰყოფს კაპიტულაციის შესახებაო. მთაშაველი განაგრძობს ბრძოლას ვიდრე ეს შესაძლებელიაო.

თეირანი, 7 იანვარი. აქ ფრიად სასიამოვნო ამბავი მოვიდა: რუსის ჯარებმა აიღეს სულთან-აბადი, რომელიც ამას წინად ინგლისელებმა დასტოვესკო. გერმანელთა კონსული ბურჯუში გაიქცა.

რომი, 7 იანვარი. ღამით 3 იანვარს თამამი რაზმი დაეშვა 300 მეტრის სიმაღლიდან, თოვლზე და ყინულზე გაიარა და ფართო ღელეში გაიჭრა. მტრის ორი ბლოკჰაუზი ააფეთქა და სწრაფად დაბრუნდა უკან. შორის ჩრდილოეთით 4 იანვარს ჩვენ გავაფართოვეთ ჩვენი პოზიციები, მიუხედავად იმისა, რომ სასტიკ სროლით არ გვასვენებდენ. იუდინეში მტრის ჰაეროპლანი გამოჩნდა, მაგრამ უკუვაქციეთ. მისგან ჩამოყრილი ყუმბარები ქალაქის გარედ მოხვდა, მაგრამ არავითარი ზიანი არ მიუყენებია.

ბუქარესტი, 8 იანვარი. ინგლის-საფრანგეთის ფლოტი ყოველდღე უბრუნდება დარდანელის ყურეს და სროლით არ აძლევენ საშუალებას რომ ოსმალებმა გაამაგრონ სედილბაჰრი და ანაფარტი, რომელიც მოკავშირეებმა გალიპოლისის დაცლის დროს მიატოვეს.

მუკდენი, 7 იანვარი. იუნანში რევოლიუციური მოძრაობა ვითარდება. ორი დივიზია გაგზავნეს დასამშვიდებლად. რევოლიუციას უველა თანაგრძნობით ეკიდება.

ბუქარესტი, 7 იანვარი. ავსტრიის მთავრობამ ოფიციალი ცნობა გაუგზავნა ბულგარეთის მთავრობას მთაშაველთა სეპარატიულ ზავის შესახებ. ბულგართა მთავრობა სავსებით ეთანხმება ცენტრალ სახელმწიფოთა განკარგულებას. თვისის მხრით ბულგარეთისგან მთაშაველთისგან ითხოვს $2^1/_2$ მილიონ ფრანკს, რაიც ვალად ჯერ კიდევ ომამდე დაედოთო. თუ მთაშაველთის ხაზინა ვერ შესძლებს ამ ვალის გადახდას, ბულგარეთი ზოგიერთ ადგილს აიღებს საკომპენსაციოდ. ცენტრალი სახელმწიფონი სრულის თანხმობით შეხვდენ ბულგარეთის მოთხოვნილებას.

ლონდონი, 7 იანვარი. საადმირალო იუწყება, ინგლისის წყალქვეშა ნავი ჰოლანდიის ნაპირებთან გაირიყა. ნავის კომანდის ერთი ნაწილი და აფიცრები ინგლისის კონტრ-ნაღმოსნებმა გადაარჩინეს; სხვები ჰოლანდიის სამხედრო გემებმა ჰოლანდიაში წაიყვანეს. მსხვერპლი არ ყოფილა.

ლონდონი, 7 იანვარი. თემთა პალატაში. ბუტი მთავრობას შეეკითხა, ინგლისის მთავრობას საბოლოოდ გადაწყვეტილი აქვს თუ არა, მანამდე იბრძოლოს, ვიდრე სერბეთისა და მთაშაველთის დამოუკიდებლობა არ იქნება აღდგენილიო. ასკვიტმა უპასუხა ინგლისის მთავრობა დაიცავს 1915 წლის 10 ღვინობისთვის დეკლარაციაა. ბუტის შეკითხვაზე, მოხდა თუ არა რაიმე ცვლილება ინგლისის პოლიტიკაში ამ უკანასკნელი ამბების შემდეგო, ასკვიტმა უპასუხა, დიდბრიტანიის პოლიტიკაში არავითარი ცვლილება არ მომხდარაო.

ჩემბერლენმა განაცხადა, მესოპოტამიაში გენერალმა ელმერმა შემოტევა განაახლა და ექვს იანვარს უსინის პოზიციებს მიუახლოვდა, რომელიც კუტ-ელ-ამარიდან 7 მილის სიშორეზე მდებარეობს, მაგრამ ჯერ მტერთან შეტაკება არ მოსვლიაო.

ქურნალ-გაზეთებიდან

გაზ. „რევიუ“ და გრეი.

„რევიუ“ სწერს სერ გრეის სასაყვედუროდ: ინგლისს რომ 5 დღით ადრე გადაეჭრით განეცხადებინა, ომში ჩაევრევი, თუ ბელგეთის ნეიტრალობას დაარღვევეთო, მაშინ გერმანეთი უეჭველად შეაჩერებდა თავისს ნაბიჯს.

გერმანელი აფიცრები.

სპარსეთის საზღვრებზე „ჰორიზონის“ სიტყვით, 500 გერმანელი ოფიცერი მისულა. მათ უნდა შეადგინონ 120 ათასიანი ჯარი.

შაჰრუთის ოლქში.

თურქესტანის თემთა 2000 კაცი შაჰრუთის ოლქში შეიჭრა.

სოუჯ-ბულახში.

სოუჯ-ბულახისაკენ შახსევანები მიდიან ოსმალების დასახმარებლად.

ბალკანეთის საქმეები.

გაზ. „რევიუ“ სწერს: 1915 წ. 21 ენკენისთვეს ვენიზელოსმა საფრანგეთს სთხოვა 150 ათასი მეომარი გამოგზავნეთ საბერძნეთშიო. სამი დღის მერე მოკავშირეებმა თანხმობა შეუთვალეს დ მხოლოდ საფრანგეთი შეუდგა თავისი დაპირების ასრულებას. ამავე დროს სერბეთმა მოკავშირეებს სთხოვა, ნება მომეცით ბულგარეთს დავეცე, სანამ ბულგარელები შემოგვესევიანო. ამ საკითხის გადაწყვეტა გრეის მიანდვეს. მან გადაჭრით უარი განაცხადა. ათი დღის შემდეგ გერმანელებმა იერიში მიიტანეს მდ. დუნაის ხიდზე. ინგლისის დიპლომატია სერბეთს სიტყვიერად ამხნევებდა, იმედებით ჰკვებავდა, საქმით კი ხელიც არ გაუნძრევია. ვივიანი საგანგებოდ გაემგზავრა ლონდონში, ამას დელკასეს გადადგომაც მოჰყვა, მაგრამ ინგლისმა მაინც თავისი დაპირება არ შეასრულა. მხოლოდ სამი კვირის შემდეგ გამოიბერტყა ყურები ინგლისის მთავრობამ, მაგრამ უკვე გვიან-ღა იყო.

მოგზაურის შთაბეჭდილება.

„უტრო როსსიი“-ს თანამშრომელს ამ ბოლო დროს შვეიცარიაში უმოგზაურნია. იგი მოგვითხრობს, შვეიცარიაში გერმანელებს დიდი გავლენა აქვთო და ასე სწერს: ქუჩაში პირველ გავლისათანავე თვალში გეცემათ გერმანელებისადმი შვედების პატივისცემა. პოლიციელებს და ჯარისკაცებს გერმანული სამოსი აცვიათ. საჰაიეში, ლუდხანებში, სარდაფებში ღ სხვა გასართობ ადგილებში ვილჰელმისა, მისი შვილისა და ჰინდენბურგ-მაკენზენის სურათები ჰკიდია. ამ ბოლო დროს ბულგარეთის მეფის ფერდინანდის სურათიც გამოჰკიდეს.

საშობაოდ ჰყიდიან საბავშო სათამაშოებს, რომელნიც სამხედრო სანახაობებს წარმოადგენენ. ინგლისელები, ფრანგები და რუსები გაუკეთებიათ გამხდრები და დაძაბუნებულები, უიარაღოდ ან და ტყვეისაგან განგმირულებად.

თეატრებშიაც გერმანელი არტისტები თამაშობენ გერმანულ პიესებს და ერთგვარ პროპაგანდას ეწევიან გერმანელთა სასარგებლოდ.

ნეიტრალობას იცავს მხოლოდ სამეფო ოპერა, სადაც გერმანელ ოპერებთან ერთად სდგავენ რუსულს ბალეტსაც.

დარდანელის შესახებ.

გაზ. „რევიუს“ რედაქტორი ჩერჩილს ბრალსა სდებს დარდანელში საქმის წაგების გამო. დარდანელზე გალაშქრების გამოცხადებამ უველა ზღვაოსნები ააღელვა, რადგანაც ყოვლად უაზრო და შეუძლებელი იყო ამ საქმის მოგებაო.

ნაგვიანევი მხილება.

გაზ. „რევიუ“ ბელგეთის დაღუპულ ბედს ეხება და მოკავშირეებს ამხილებს, რომ თავის დროზე არ წაახმარეს ხელი. ჩერჩილი პირადად მისულა ანტვერპენში და არწმუნებდა, ციხეს ნუ დაანებებთ, მალე მაშველი ჯარი მოვაო. მაგრამ მაშველი ჯარი არსადა სჩანდა. ბელგიელები იძულებულნი გახდნენ ათი დღის მერე დაეცალათ ანტვერპენის სიმაგრე. გერმანელებმა ამავე დროს დაიპყრეს ფლანდრია და ჩრდილო საფრანგეთი. მეფე ალბერტის ჯარი იძულებული გახდა მდ. იზერამდე დაეხია თავისი ჯარით, ორიეე ფლანდრია და ზღვის პირი მტრისათვის დაეთმო. მაშინ ბელგიელთა ჯარის ერთი ნაწილი, 25 ათასი კაცი, ჰოლანდიაში გადავიდა, სადაც იარაღი აჰყარეს მას.

უკანასკნელი ფოსტა

მთაშავეთის ამბები.

რუსეთის დიპლომატები ამბობენ: თუ ის ხმა გამართლდა, ვითომ მთაშავეთი კერძოდ შეურიგდა გერმანეთსა და ავსტრიასო, მაშინ მოკავშირენი თავთავის წარმომადგენლებს მოუწოდებენ დასტოვონ მთაშავეთიო.

მთაშავეთის კონსულმა პარიზში ცნობა გამოაქვეყნა: იარაღის დაყრა და დანებება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ საომარი მასალა მთაშაველებს აღარა ჰქონდათო.

საბერძნეთის ამბები.

საბერძნეთის ელჩმა ცარგრადში ოფიციალად განაცხადა, რომ ათინაში ოსმალეთის წარმომადგენელი მოვიდაო. ამავე დროს ათინაში მივიდა ბულგარეთის ელჩი სხვა და სხვა პოლიტიკურ საქმეზე მოსალაპარაკებლად და მეგობრულ განწყობილების დასამყარებლად.

გერმანეთმა შეუთვალა საბერძნეთს, გარკვეული გზა აირჩიე ვიდრე ბალკანეთის ამბები ჯერ კიდევ არ დასრულებულაო.

ჯარის რაოდენობა

როგორც „ნოვოე ვრემია“ იტყობინება ბალკანეთში გერმანელებს ჰყოლიათ 100,000 და ბულგარებს 300 ათასი. ბულგარები რუმინეთის, ალბანეთის და საბერძნეთის საზღვრებზე იმყოფებიან. 30,000 ოსმალო ბურგასთან იმყოფება და ამდენივე გერმანელმა ჯარმა სამხრეთისაკენ უსკიუბზე გაიარა.

რიგის მხარეს.

რიგის მხარეს მყუდროება სუფევს. მხოლოდ მზვერავი რაზმები მოქმედებენ. ბრესტლიტოვსკს ორი ფორტი მიუმატეს. ფორტებ შორის დუღაბიანი თხრილები გაიყვანეს.

სერბეთის ჯარი.

პეტროგრადში ცნობა მიიღეს, სერბეთის იმ ჯარმა, რომელიც მთაშაველებთან ერთად იბრძოდა, ალბანეთისკენ დაიხია და საცაა იტალიელების ჯარს შეუერთდებაო.

გრძოლის ველზე

რუსეთ-გერმანეთის ბრძოლის პირზე თვალსაჩინო არა მომხდარა-რა. ბუკოვინა-გალიციაში შესწყდა დიდი ამბით დაწყებული სამხედრო მოქმედება. მდ. სტირზედაც მიყუჩდა. ჩარტორისკის ჩრდილოეთით გერმანელები ცდილან რუსების პოზიციის დაჭერას, მაგრამ მიზნისთვის ვერ მიუღწევიათ. რიგის რაიონის ხსენებაც იშვიათად და დრო და დრო მოისმის. დვინსკის რაიონში ნელი საარტილერიო სროლაა.

სამაგიეროდ რუსებმა სამხედრო მოქმედება გააცხოველეს აქ, კავკასიის ბრძოლის ასპარეზზე. პირველ იანვრის ღამიდან დაწყებული დღემდე რუსის ჯარი წინ მიდის, მიუხედავათ ბრძოლის პირობების არა ჩვეულებრივი სიძნელისა და მსხვერპლის სიმძაფრისა. გუშინდელი ოფიციალი დეპეშის ცნობით, რუსებს ჰასან-კალა აუღიათ და გაქცეულ ოსმალებს აზრუმის პირველ რიგის ფორტებამდე დადევნებიან. რუსის ჯარის წინსვლა ამ მიმართულებით დიდი სარფაა სპარსეთში რომ მოქმედებს იმ გენერალ ბა—ვის რაზმისთვის, რომელიც ერთობ მძიმე მდგომარეობაში იყო ჩაყენებული.

აზრუმისკენ მიმავალ რუსის ჯარს დიდი სიფრთხილე მართებს, რომ თანამომძე ჯარის შველის სურვილით თითონ არ ჩავარდეს ძნელ პირობებში.

მეგრი.

თბილისი, 10 იანვარი.

პატარა მთაშავეთმა Vae victis! გმირული თავგანწირულების შემდეგ ფარხმალი დაჰყარა და ბელგეთისა და სერბეთის ბედი გაიზიარა. ამ სამ დობილთა შორის იგი ყველაზე უმცროსი იყო. მისი ბედიც მიტომ უფროა საგრძნობელი, მიტომ უფრო იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას.

მთაშავეთი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე შეურიგებელი და ზვიადი მებრძოლი გახლდათ. იგი უსაზღვროდ გაეტაცნა უაღრეს რწმენას, რომ ტიტანიურს ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდოდა. გამარჯვებას იგი მოკავშირეთა დახმარებაზეც ამყარებდა, მაგრამ ამაო ტ უსაფუძვლო გამოდგა მთელი მისი ოცნებანი და იმედები, ვითომც შველა დროზე იქნებოდა და მოკავშირენი ააცილებდნენ მაკენზენის ჯავშნიან მუშტსა.

გეოგრაფიულ პირობების მიხედვით, პოლიტიკა რომ არ მივიღოთ მხედველობაში, პირველი შიკრიკი იტალეთს უნდა ეფრინებინა მისკენ, შენდა საშველად მოვდივარო, მაგრამ იტალეთმა არ გაამართლა ის იმედი. რომში ყველაზე ადრე იწინასწარმეტყველეს ლოვჩენის დაცემა; რომში ყველაზე ადრე ასტეხეს განგაში ლოვჩენის დაცემა მთელის მთაშავეთის დაცემას უდრისო; რომში მინისტრს, ბარცელაის პირით, ყველაზე ადრე მოჰყვნენ გოდებას, ლოვჩენი ბალკანეთის გასაღებია, იტალეთსაც აქედან ეღება კარებიო; რომიდან ყველაზე ადრე შეეძლოთ მაშველი ჯარების გაგზავნა მაკენზენის სასტიკი გეგმის ჩასაშლელად, მაგრამ იმავე რომში სრული ინდიფერენტიზმი ჰსუფევდა, აბჯარ-მოსილი მხედრობა ცივად შეჰყურებდა ლოვჩენის ნგრევას.

აქ სრულიად არ გვაინტერესებს ის საკითხი, თუ რად მოიქცა ასე იტალეთი, აიხსნება ეს ძველი, ტრადიციული მაკკაველობით თუ სხვა რამ პოლიტიკური მოსაზრებით. არა, ჩვენი სურვილია ყურადღება მივაქციოთ თვით პატარა ერთა საქციელს, ეს იმ ერთა საქციელს, რომელნიც დამოუკიდებლობით ჰსარგებლობდენ, მაგრამ პირადმა სიმპატია-ანტიპატიამ მახვილი ააღებინა მსოფლიო ტრაგედიაში მონაწილეობის მისაღებად. უსაზღვრო თავგანწირულებით „ლამაზ სიკვდილის“ საიდუმლოს გაზიარება მათ დევიზად დაისახეს, რაიც სავსებით აღსრულდა და პირველი ისინი გახდნენ ტარიგნი ამ სასტიკი კატასტროფისა. ბელგეთი განადგურდა, სერბეთმა ვერ გაუძლო ძლიერი მტრის ლაშქარს, რომელმაც ვარაუდზე უფრო ადრე წაჰლეკა იგი, დღეს კიდევ მთაშავეთმა ზავი ითხოვა მტრის წინაშე!

ცხოვრების პრინციპი მძლავრთა გამარჯვებაში იხატება. რამდენადაც ძლიერია მტერი, იმდენად ულმობელი. ტევტონთა დევიზი უხსოვარ დროიდან vae victis თანამედროვე ცხოვრებაში სრულს გამართლებას ისევე ჰპოვებს, როგორც ძველად. სენტიმენტალობა არ უწყის თანამედროვე პოლიტიკამ. საუკუნის რაინდობა საუკუნეთა ლეგენდებად დარჩა. ცივი, პირადი ანგარიში, ცივი სახელმწიფოებრივი შემოფარგვლა,—აი თანამედროვე ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკის სადა და მეტად მარტივი ფილოსოფიური სარჩული.

უბედურებაც სწორედ ის არის, რომ სამს დობილში ეს მარტივი ცხოვრების პრინციპი არც ერთმა არ გაიზიარა, რათა თავის ერის კეთილდეობა უზრუნველ-ეყო და ეხსნა განადგურებისაგან. მიტომ გამარჯვებულნიც მოიქცნენ ასე არა ადამიანურად, მიტომ იყო, რომ ტევტონთა ძველმა დევიზმა ხელ-ახლად იჩინა თავი და იარაღ-აყრილ მთაშაველთა თავზე ჟღმობელი და დამამცირებელი განკარგულება მოახდინა: იარაღი ჩაგვაბარეთ, მამაკაცობა აიყაროს, აქ მხოლოდ ბავშვები და დედაკაცები დარჩნენო,

უმაგალითო მაგალითია,

ახალი ამბავი

თანხის განაწილება. დღეს, 10 იანვარს, დღის 12 საათზე, თავადაზნაურთა მარშლებისა და დეპუტატების კრება გაიმართება, რომელმაც უნდა გაანაწილოს ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა შორის ის თანხა, რომელიც თავადაზნაურთა წლიურმა კრებამ გადასდო ამ საგნისათვის. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მხრივ კრებას დაესწრება საზოგადოების თავმჯდომარე მ. ვ. მაჩაბელი.

ახალი სკოლები. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოება 7 პირველ დაწყებითი სკოლის გახსნას აპირებს სამაჰმადიანო საქართველოში. ამათ რიცხვში 4 სკოლა 12 ამ თვეს უნდა გაიხსნას მისი უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის სახელობის დღეს.

ხარფუხის კლუბის წევრთა საგანგებო კრება უნდა შესდგეს დღეს, 10 იანვარს, დილის 11 საათზე, კლუბისათვის ბინის დაქირავების შესახებ საკითხის გადასაწყვეტად.

თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი სადარბაზოდ. გუშინ, 9 იანვარს, თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე სადარბაზოდ იყო მეფის ნაცვალ დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან, კამერგერობის უმაღლესად მიღებისა გამო.

მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ დაამტკიცა საქართველოს ახლად დანიშნულ ეპისკოპოსის შეხვედრის ცერემონიალი.

არქიმანდრიტს პიიმოსს დღეს პეტროგრადში ეპისკოპოსოსად აკურთხებენ.

პატრონობენ. თბილისის პოლიციმეისტერს განუცხადეს მშობლებმა იმ ბავშვებისა, რომელნიც ყეღჭირევებით დაავადებულნი წვანან ქალაქის მეორე გადამდებ სენიანთა თავშესაფარში, რომ მესამე დღეა თავშესაფარს არ ათბობენო. პოლიციმეისტერმა ეს განცხადებანი გადასცა საგუბერნიო სამკურნალო განყოფილებას.

პოლონელთა სახლში. დღეს, „პოლონელთა სახლში“ ცნობილი მსახიობი ქალი ლვოვის თეატრისა, ანტონინა სოკოლიჩი მართავს საღამოს. საღამოზე წაკითხულ იქმნება ლექცია ს. ვისპიანსკის ნაწარმოებზე. წაკითხულ იქმნება ფრაგმენტები მისი ნაწარმოებიდან.

სახელმწიფო შემნახველ-გამსესხებელ ცენტრალურ კასაში გასულ წლის ქრისტეშობისთვის გაწმავლობაში შემოსულა ნაღდ ფულად 839,986 მან. პროცენტ. ქაღალდებით 678,000 მან. გაუცია ნაღდ ფულად 707,891 მან. პროცენტ. ქაღალდებით 24,350 მან.

სახალხო სახლის სამკითხველოში გასულ წლის ქრისტეშობისთვეს სამკითხველოში ყოფილა 9,704 სული. წაუღიათ სახლში წიგნი 7,464. შიგ სამკითხველოში უსარგებლიათ 2,238 წიგნით. 1 იანვრისთვის ხელის მომწერთა რიცხვი ყოფილა 1,705 სული.

შრომის თავშესაფარი. წითელ ჯვრის გამგეობამ გადასწყვიტა მოაწყოს კავკასიაში „შრომის თავშესაფარი“ ომში დასახიჩრებულთათვის სხვა და სხვა ხელოსნობის შესასწავლად. თავშესაფართან მოწყობილი იქნება სახელოსნოები.

საავადმყოფოს გახსნა. ბათომის ციხის უფროსმა ბ-ნმა ლიახოვმა ნება დართო ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას გახსნას საავადმყოფო ქობულეთში. საავადმყოფო ამ დღეებში გაიხსნება, რომელსაც განაგებს ექიმი ბენაშვილი.

იჯარით გაცემა ტბისა. ბორჯომის საუფლისწულო მამულების გამგეობა 20 იანვრიდან ამა წლისა იჯარითა სცემს სათევზაო სამრეწველო ტბას დაბა ცხურში. საჯარო ვაჭრობა ამ საიჯარო ტბაზე მოხდება ბორჯომში 20 იანვარს. ამ ვადამდე მსურველთ დახურულ კონვერტში უნდა განუცხადონ თვისი სურვილი. დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე ბორჯომის საუფლისწულო მამულების კანტორაში.

ვადიან ჯარისკაცთა შემოწმება. თბილისის სამხედრო ბეგრის საკრებულო 15 იანვრიდან დილის 10 საათზე შეუდგება შემოწმებას იმ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთა რომელთაც 15 იანვრამდე ამა წლისა მიეცა ვადის გადადება შესამოწმებლად თანახმად 47 მუხლის წესდებისა. ამისათვის ყველა ის ახალგაზდა ყმაწვილ კაცნი უნდა გამოცხადნენ თბილისის სამხედრო ბეგრის საკრებულოში თუ არ უნდათ ჰასუხი აგონ გამოუცხადლობისთვის. ამავე ვადისთვის უნდა გამოცხადნენ სხვა მაზრის მცხოვრებნიც რომელთაც ამნაირი ვადა აქვთ მიცემული და ალაგობრივ აქვთ ნება დართული საგუბერნიო მთავრობიდან შემოწმებისა.

თბილისის სამხედრო ბეგრის საკრებულომ მიიღო განმარტება, რომ ის ახალგაზდა ყმაწვილ კაცნი, რომელნიც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ და დაბადებულნი არიან 1897 და 1898 წ. წ. და უფლება აქვთ ვადის გაგრძნლებისა სწავლის დამთავრებამდე უფლება ეძლევათ გარდა ვადის გაგრძელებისა სწავლის დამთავრებამდე პირველ ხარისხის უფლებითაც ისარგებლონ ოჯახურ მდგომარეობის და მიხედვით. ამ შემთხვევაში ყველა მათგანმა უნდა წარუდგინოს მხოლოდ ადგილობრივ სამხედრო სამეგრე საკრებულოს საბუთები ამ ოჯახურ მდგომარეობისა.

მიწად მოქმედების დეპარტამენტის რწმუნებულმა წინადადება მისცა ქუთაისის სააბრეშუმო პუნქტის გამგეს, ი. გ. ქუთათელაძეს, დახმარება აღმოუჩინოს ბ. კოსსორს, რომელიც ამ დღეებში ჩავა ქუთაისს, საფრანგეთის აბრეშუმის თესლის გასასყიდათ.

სამექანიკო-სათერაპევტო ინსტიტუტი. ქალაქის ლაზარეთების ექიმთა ყრილობამ რომელიც ამ დღეებში შესდგა, განიხილა და მოიწონა პროექტი წესდებისა თბილისში სამექანიკო სათერაპევტო ინსტიტუტის დაარსებისა, ორტოპედიის განყოფილებით. ხარჯთ აღრიცხვა ამ ინსტიტუტის აგებისა 340—350 ათას მანეთს უდრის, ხოლო ყოველთვიური ხარჯი 4—5 ათას მანეთს.

წმ. მოწამე აბო თბილელის ხსენების დღეს გუშინ ყოვლად სამღვდელო ანტონიმ ეპ. გორისამ დარიის მონასტერში წირვის გადახდის შემდეგ ლიტანიით სვლა გამართეს ნიშთან ქართულ სამღვდელოების მონაწილეობით. ნიშთან გადახდილ იქმნა პარაკლისი წმ. აბოსი. პარაკლისს დიდძალი ქართველობა—მლოცველნი დაესწრნენ.

აბრეშუმის გადატანა. მოსკოვში ერთ თვეზე მეტია მოისპო ამიერკავკასიის რკინის გზის გამგეობამ. აბრეშუმის ტვირთები დაგროვდა ახიქაბულსა, განჯასა უდჯარისა და სხვა სადგურზე. მათი პატრონები დიდ ზარალს განიცდიან და იმ ზომამდე არიან მისულნი, რომ უნდა მოსპონ შესყიდვა აბრეშუმისა და ქარხნების წარმოება, რასაც მოჰყვება გლეხთა წარმოების დაცემა ამ დარგში და საზოგადოთ მთელი აბრეშუმეულობის მრეწველობის და ამ დარგთან დაკავშირებულ სამანუფაქტურო საქმის დაცემა. ამის გამო სატრანსპორტო განყოფილებამ სთხოვა სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტს, შუამდგომლობა აღძრას სამარშრუტო მატარებლით გადატანილ იქმნეს ეს ნაწარმოებნი ამიერ კავკასიის რკინის გზით.

ტყვეთ წაყვანილთა მზრუნველთა კომიტეტს რომელმაც 1 ქრისტეშობისთვეს 1915 წ. დაიწყო მოქმედება, თბილისის გუბერნატორმა ნება დართო 23 იანვარს თვის თანხის გასაძლიერებლად ერთ დღიური შეწირულებათა შეგროვება გამართოს ქ. თბილისში.

საშუალო სასოფლო სამეურნეო სკოლა. ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების 1915 წლის საზოგადო კრებამ, დაავალა გამგე კომიტეტს: მოიწვიოს სპეციალისტები და მათი დახმარებით შეიმუშაოს ქართველ ერის ცხოვრებასთან შეფარდებული საშუალო სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის პროგრამა. რადგან კომიტეტს სოფლის მეურნეობის საკითხებში ერთად-ერთ მცოდნე დაწესებულებად ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება მიაჩნია, ამიტომ სთხოვს ამ უკანასკნელის საბჭოს, გამოარკვიოს და შეადგინოს დაწვრილებითი პროგრამა იმ საშუალო სასოფლო სამეურნეო სასწავლებლისა, რომელიც დაახლოებული იქნება ქართველ ერის ცხოვრებასთან და ხელს შეუწყობს მის მეურნეობის აყვავებას. ეს პროგრამა წარედგინების განსახილველად საზოგადო კრებას მიმდინარე წლის მაისში.

წარჩინება. ბრძოლის ველზე სიმამაცისათვის ანდრია ხარაიძე დაჯილდოვებულ იქმნა პოდპორუჩიკის ჩინითა სტანისლავის მეორე და მეოთხე ხარისხის ჯვრით.

ბრძოლის ველზე სიმამაცისთვის **ანდრო იოს ხარაიძე** დაჯილდოვებულ იქმნა სტანისლავის მეორე და მეოთხე ხარისხის ჯვრით და პოდპორუჩიკის ჩინით.

სიმინდის ფასებს ძალიან აუწევია ქუთაისში. იქაურ საგლეხო საკრებულოს წევრი ბ-ნი მიხაილოვი ჩამოვიდა თბილისში და ბ-ნ შაშკოვსკისთან შუამდგომლობს დაუთმოს ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის კონტრაგენტს ბ-ნ ქავთარაძეს ვაგონები ჩრდილო კავკასიიდან სიმინდის გადმოსაზიდად.

რაიონის აგრონომი გ. ა. დალაქიშვილი მიწადმოქმედების რწმუნებულთან დაინიშნა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებათა შესაკრებად გორისა და დუშეთის მაზრებში.

შეცდომის გასწორება

გუშინდელ პროვინციის ქრონიკაში სწერია სოფ. გავაზი (იმერეთი) უნდა იყოს სოფ. გავაზი (კახეთი) და სხვა.

ქუთაისი.

— 12 იანვარს ქუთაისის საზოგადო საკრებულოში ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება მართავს დიდ სალიტერატურო-საცეკვაო საღამოს. ასეთი საღამო ქუთაისში ყოველ წლობით იმართება და ბევრ ღარიბ სტუდენტს ხელს უმართავენ სწავლის გასაგრძელად. წელს ერთი ჯგუფი სტუდენტებისა საღამოს მოწყობაში მონაწილეობას არ იღებს. საინტერესოა ვიცოდეთ, რად მოისურვეს ასეთი საქციელი?

— 26 იანვარს ქართულ გიმნაზიის დარბაზში იმართება ჩვენი დიდებული მგოსნის აკაკის საღამო, მისი გადაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო. მოწაფეების მიერ წარმოდგენილი იქნება აკაკის ერთ მოქმედებიანი პიესა “სატუსაღოში“.

— 1 ენკენისთვიდან დ. ხონში გაიხსნება ქალთა რვა კლასიანი გიმნაზია. ამის გამო ხონში უკვე შესდგა სასწავლებლის დამაარსებელი კომიტეტი. ამ კომიტეტს სურდა გიმნაზია გასულ წლის ენკენისთვიდან გაეხსნა, მაგრამ ამის საშუალება არ მოეპოვებოდა. საშუალების მხრით კომიტეტი ამ ჟამადაც მოისუსტებს, მაგრამ მან მიმართა ქუთაისში არსებულ ყველა კულტურულ დაწესებულებებს დახმარების აღმოსაჩენად.

— 6 იანვარს ღამით ქუთაისში მოთოვა. თოვლი იმ დღესვე დადნა, მაგრამ მაინც დიდი სიცივეები დაიჭირა.

— გუბერნატორის კანცელარიის ცნობით 3 იანვარს ფოთში მოსულა ორთქლმავალი „ფრედერიქსი“, (რომელიც უწინ ავსტრო-უნგრეთს ეკუთნოდა). ორთქლმავალმა თან მოიტანა 130,000 ფუთი შაქარი, პურის ფქვილი და სხვა.

ნარკვევი

უმთავრესი საფიქრებელი დღესდღეობით რუსეთისათვის ეკონომიური მოუწყობლობაა. ომმა ეს ნათელ ჰყო მთელი თავის სინამდვილით. წარსულ წლების ბიუჯეტი, თუმცა ერთი შეხედვით რაღაც იმედიანობას ჰბადებდა საზოგადოებაში, მაგრამ არყის მონოპოლიის გაუქმების შემდეგ მტკიცე ნიადაგს და სისტემას მოკლებული აღმოჩნდა. ამ პირობებში სახელმწიფოს არსებობა ძალიან საშიშოა. ცნობილი პროფესორი ეკონომისტი ოზეროვი გაზეთ „უ. რ.“ ამ მთავარ საკითხს ეხება:

ომის შემდეგ რუსეთს ორი გზა ექნება. თუ არ გავიღვიძეთ, უსათუოდ მეორე ხარისხოვან სახელმწიფოდ გადვიქცევით, სამაგიეროთ თუ ფრთებს შევისხამთ და საერთოდ საღათას ძილს თავს დავაღწევთ, მაშინ უეჭველად ჩვენი მომავალი ბრწყინვალე იქნება. მაგრამ ყველა ამისათვის საჭიროა შესაფერისი პირობები. მასთანვე დამოკიდებულია იმაზედ, თუ ჩვენ როგორ შეუდგებით მთავარ საკითხის ე. ი. ეკონომიურ ძალების განვითარებას ჩვენ საზოგადოების და სკოლის აღზრდას, რომ ჩვენში წარმოშვან საღი მოაზროვნე პირები.

თუ ყველაფერი ძველებურად წავა, მაშინ ახალ რუ!ეთს ჩვენ ვერაგზით ვერ შევქმნით.

ვერავითარი მონოპოლიები და ახალი გადასახადები ვერ შეავსებს ჩვენ ბიუჯეტს.

თვით მონოპოლიის შემოღება, ჯერ ერთი აუარებელ ხარჯებს ითხოვს ხაზინიდან, მეორე კიდევ, თაოსნობას ართმევს საზოგადოებას და კერძო პირების და ძალთა განვითარებას აყუჩებს.

საჭიროა არა მცირე შეკეთება ჩვენი სახელმწიფო ორგანიზმისა, არამედ ძირითადი გარდაქმნა.

ახალი ამბავი

თანხის განაწილება. დღეს, 10 იანვარს, დღის 12 საათზე, თავადაზნაურთა მარშლებისა და დეპუტატების კრება გაიმართება, რომელმაც უნდა გაანაწილოს ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა შორის ის თანხა, რომელიც თავადაზნაურთა წლიურმა კრებამ გადასდო ამ საგნისათვის. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მხრივ კრებას დაესწრება საზოგადოების თავმჯდომარე მ. ვ. მაჩაბელი.

ახალი სკოლები. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოება 7 პირველ დაწყებითი სკოლის გახსნას აპირებს სამაჰმადიანო საქართველოში. ამათ რიცხვში 4 სკოლა 12 ამ თვეს უნდა გაიხსნას მისი უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის სახელობის დღეს.

ხარფუხის კლუბის წევრთა საგანგებო კრება უნდა შესდგეს დღეს, 10 იანვარს, დილის 11 საათზე, კლუბისათვის ბინის დაქირავების შესახებ საკითხის გადასაწყვეტად.

თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი სადარბაზოდ. გუშინ, 9 იანვარს, თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე სადარბაზოდ იყო მეფის ნაცვალ დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან, კამერგერობის უმაღლესად მიღებისა გამო.

მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ დაამტკიცა საქართველოს ახლად დანიშნულ ეპისკოპოსის შეხვედრის ცერემონიალი.

არქიმანდრიტს პიიმოსს დღეს პეტროგრადში ეპისკოპოსოსად აკურთხებენ.

პატრონობენ. თბილისის პოლიციმეისტერს განუცხადეს მშობლებმა იმ ბავშვებისა, რომელნიც ყეღჭირევებით დაავადებულნი წვანან ქალაქის მეორე გადამდებ სენიანთა თავშესაფარში, რომ მესამე დღეა თავშესაფარს არ ათბობენო. პოლიციმეისტერმა ეს განცხადებანი გადასცა საგუბერნიო სამკურნალო განყოფილებას.

პოლონელთა სახლში. დღეს, „პოლონელთა სახლში“ ცნობილი მსახიობი ქალი ლვოვის თეატრისა, ანტონინა სოკოლიჩი მართავს საღამოს. საღამოზე წაკითხულ იქმნება ლექცია ს. ვისპიანსკის ნაწარმოებზე. წაკითხულ იქმნება ფრაგმენტები მისი ნაწარმოებიდან.

სახელმწიფო შემნახველ-გამსესხებელ ცენტრალურ კასაში გასულ წლის ქრისტეშობისთვის გაწმავლობაში შემოსულა ნაღდ ფულად 839,986 მან. პროცენტ. ქაღალდებით 678,000 მან. გაუცია ნაღდ ფულად 707,891 მან. პროცენტ. ქაღალდებით 24,350 მან.

სახალხო სახლის სამკითხველოში გასულ წლის ქრისტეშობისთვეს სამკითხველოში ყოფილა 9,704 სული. წაუღიათ სახლში წიგნი 7,464. შიგ სამკითხველოში უსარგებლიათ 2,238 წიგნით. 1 იანვრისთვის ხელის მომწერთა რიცხვი ყოფილა 1,705 სული.

შრომის თავშესაფარი. წითელ ჯვრის გამგეობამ გადასწყვიტა მოაწყოს კავკასიაში „შრომის თავშესაფარი“ ომში დასახიჩრებულთათვის სხვა და სხვა ხელოსნობის შესასწავლად. თავშესაფართან მოწყობილი იქნება სახელოსნოები.

საავადმყოფოს გახსნა. ბათომის ციხის უფროსმა ბ-ნმა ლიახოვმა ნება დართო ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას გახსნას საავადმყოფო ქობულეთში. საავადმყოფო ამ დღეებში გაიხსნება, რომელსაც განაგებს ექიმი ბენაშვილი.

იჯარით გაცემა ტბისა. ბორჯომის საუფლისწულო მამულების გამგეობა 20 იანვრიდან ამა წლისა იჯარითა სცემს სათევზაო სამრეწველო ტბას დაბა ცხურში. საჯარო ვაჭრობა ამ საიჯარო ტბაზე მოხდება ბორჯომში 20 იანვარს. ამ ვადამდე მსურველთ დახურულ კონვერტში უნდა განუცხადონ თვისი სურვილი. დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე ბორჯომის საუფლისწულო მამულების კანტორაში.

ვადიან ჯარისკაცთა შემოწმება. თბილისის სამხედრო ბეგრის საკრებულო 15 იანვრიდან დილის 10 საათზე შეუდგება შემოწმებას იმ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთა რომელთაც 15 იანვრამდე ამა წლისა მიეცა ვადის გადადება შესამოწმებლად თანახმად 47 მუხლის წესდებისა. ამისათვის ყველა ის ახალგაზდა ყმაწვილ კაცნი უნდა გამოცხადნენ თბილისის სამხედრო ბეგრის საკრებულოში თუ არ უნდათ ჰასუხი აგონ გამოუცხადლობისთვის. ამავე ვადისთვის უნდა გამოცხადნენ სხვა მაზრის მცხოვრებნიც რომელთაც ამნაირი ვადა აქვთ მიცემული და ალაგობრივ აქვთ ნება დართული საგუბერნიო მთავრობიდან შემოწმებისა.

თბილისის სამხედრო ბეგრის საკრებულომ მიიღო განმარტება, რომ ის ახალგაზდა ყმაწვილ კაცნი, რომელნიც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ და დაბადებულნი არიან 1897 და 1898 წ. წ. და უფლება აქვთ ვადის გაგრძნლებისა სწავლის დამთავრებამდე უფლება ეძლევათ გარდა ვადის გაგრძელებისა სწავლის დამთავრებამდე პირველ ხარისხის უფლებითაც ისარგებლონ ოჯახურ მდგომარეობის და მიხედვით. ამ შემთხვევაში ყველა მათგანმა უნდა წარუდგინოს მხოლოდ ადგილობრივ სამხედრო სამეგრე საკრებულოს საბუთები ამ ოჯახურ მდგომარეობისა.

მიწად მოქმედების დეპარტამენტის რწმუნებულმა წინადადება მისცა ქუთაისის სააბრეშუმო პუნქტის გამგეს, ი. გ. ქუთათელაძეს, დახმარება აღმოუჩინოს ბ. კოსსორს, რომელიც ამ დღეებში ჩავა ქუთაისს, საფრანგეთის აბრეშუმის თესლის გასასყიდათ.

სამექანიკო-სათერაპევტო ინსტიტუტი. ქალაქის ლაზარეთების ექიმთა ყრილობამ რომელიც ამ დღეებში შესდგა, განიხილა და მოიწონა პროექტი წესდებისა თბილისში სამექანიკო სათერაპევტო ინსტიტუტის დაარსებისა, ორტოპედიის განყოფილებით. ხარჯთ აღრიცხვა ამ ინსტიტუტის აგებისა 340—350 ათას მანეთს უდრის, ხოლო ყოველთვიური ხარჯი 4—5 ათას მანეთს.

წმ. მოწამე აბო თბილელის ხსენების დღეს გუშინ ყოვლად სამღვდელო ანტონიმ ეპ. გორისამ დარიის მონასტერში წირვის გადახდის შემდეგ ლიტანიით სვლა გამართეს ნიშთან ქართულ სამღვდელოების მონაწილეობით. ნიშთან გადახდილ იქმნა პარაკლისი წმ. აბოსი. პარაკლისს დიდძალი ქართველობა—მლოცველნი დაესწრნენ.

აბრეშუმის გადატანა. მოსკოვში ერთ თვეზე მეტია მოისპო ამიერკავკასიის რკინის გზის გამგეობამ. აბრეშუმის ტვირთები დაგროვდა ახიქაბულსა, განჯასა უდჯარისა და სხვა სადგურზე. მათი პატრონები დიდ ზარალს განიცდიან და იმ ზომამდე არიან მისულნი, რომ უნდა მოსპონ შესყიდვა აბრეშუმისა და ქარხნების წარმოება, რასაც მოჰყვება გლეხთა წარმოების დაცემა ამ დარგში და საზოგადოთ მთელი აბრეშუმეულობის მრეწველობის და ამ დარგთან დაკავშირებულ სამანუფაქტურო საქმის დაცემა. ამის გამო სატრანსპორტო განყოფილებამ სთხოვა სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტს, შუამდგომლობა აღძრას სამარშრუტო მატარებლით გადატანილ იქმნეს ეს ნაწარმოებნი ამიერ კავკასიის რკინის გზით.

ტყვეთ წაყვანილთა მზრუნველთა კომიტეტს რომელმაც 1 ქრისტეშობისთვეს 1915 წ. დაიწყო მოქმედება, თბილისის გუბერნატორმა ნება დართო 23 იანვარს თვის თანხის გასაძლიერებლად ერთ დღიური შეწირულებათა შეგროვება გამართოს ქ. თბილისში.

საშუალო სასოფლო სამეურნეო სკოლა. ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების 1915 წლის საზოგადო კრებამ, დაავალა გამგე კომიტეტს: მოიწვიოს სპეციალისტები და მათი დახმარებით შეიმუშაოს ქართველ ერის ცხოვრებასთან შეფარდებული საშუალო სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის პროგრამა. რადგან კომიტეტს სოფლის მეურნეობის საკითხებში ერთად-ერთ მცოდნე დაწესებულებად ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება მიაჩნია, ამიტომ სთხოვს ამ უკანასკნელის საბჭოს, გამოარკვიოს და შეადგინოს დაწვრილებითი პროგრამა იმ საშუალო სასოფლო სამეურნეო სასწავლებლისა, რომელიც დაახლოებული იქნება ქართველ ერის ცხოვრებასთან და ხელს შეუწყობს მის მეურნეობის აყვავებას. ეს პროგრამა წარედგინების განსახილველად საზოგადო კრებას მიმდინარე წლის მაისში.

წარჩინება. ბრძოლის ველზე სიმამაცისათვის ანდრია ხარაიძე დაჯილდოვებულ იქმნა პოდპორუჩიკის ჩინითა სტანისლავის მეორე და მეოთხე ხარისხის ჯვრით.

ბრძოლის ველზე სიმამაცისთვის **ანდრო იოს ხარაიძე** დაჯილდოვებულ იქმნა სტანისლავის მეორე და მეოთხე ხარისხის ჯვრით და პოდპორუჩიკის ჩინით.

სიმინდის ფასებს ძალიან აუწევია ქუთაისში. იქაურ საგლეხო საკრებულოს წევრი ბ-ნი მიხაილოვი ჩამოვიდა თბილისში და ბ-ნ შაშკოვსკისთან შუამდგომლობს დაუთმოს ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის კონტრაგენტს ბ-ნ ქავთარაძეს ვაგონები ჩრდილო კავკასიიდან სიმინდის გადმოსაზიდად.

რაიონის აგრონომი გ. ა. დალაქიშვილი მიწადმოქმედების რწმუნებულთან დაინიშნა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებათა შესაკრებად გორისა და დუშეთის მაზრებში.

შეცდომის გასწორება

გუშინდელ პროვინციის ქრონიკაში სწერია სოფ. გავაზი (იმერეთი) უნდა იყოს სოფ. გავაზი (კახეთი) და სხვა.

ქუთაისი.

— 12 იანვარს ქუთაისის საზოგადო საკრებულოში ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება მართავს დიდ სალიტერატურო-საცეკვაო საღამოს. ასეთი საღამო ქუთაისში ყოველ წლობ

და ზურგი შეაქციოს უპირველეს მოვალეობას! რა უცხო სიბრძნე უნდა ეყაროს ამ მიმართულების დოქტრინაში რომ გარდა თავისიანისა, სხვა ვერავინ მისწვდეს მის სიმაღლეს?! დღეს პატარ-პატარა განსხვავებას და აყალმაყალს დიადი გრძნობები და მოვალეობანი არ უნდა ჩავაკვლევინოთ. თბილისის არჩევნებ.ს საკითხში სრული თანხმობა და ეროვნული ერთსულოვნება უნდა იყოს. როგორ უნდა იმოქმედოს ამ ეროვნულმა ერთსულოვნებამ, შეერთებულმა ქართველობამ? რა უნდა მოითხოვოს?—ის, რომ თბილისში თვითეულ ეროვნებას მიენიჭოს უფლება წარმომადგენელთა შესაფერი რიცხვი იყოლიოს თვითმართველობაში. შეერთებულმა ქართველობამ მოითხოვოს ეროვნული პროპორციული წარმომადგენლობა. ეს პრინციპი უცხო არ არის რუსეთისთვის. ამ ორიოდე წლის წინად ეს წესი შემოიღეს პოლონეთის სამეფოში. შერთებულმა ქართველობამ უნდა მიმართოს ამ წინადადებით ადგილობრივ მთავრობას, რომელიც იშუამდგომლებს საცა ჯერ არს. როგორც ამბობენ სათათბირო მოქმედებას დაიწყებს ამა თვის 22-ს. იმისდა მიხედვით, თუ რა წესით წავა სახ. სათათბიროს მუშაობა, ჩვენს დეპუტატებს უნდა დაევალოს ამ შინაური დიდი პრინციპიული საკითხის თაობაზე ხმა ამოიღონ... ჯერ-ჯერობით სულაც გადაიდოს ქალაქის არჩევნები. მთელმა ქართულმა პრესამ ცოცხლად დ ენერგიულად უნდა დაიცვას დებულება, რომ ქართველი ხმოსნები მანამ არ შეელენ თბილისის თვითმართველობაში, ვიდრე კანონის ძალით არ იქნება დაცული ქართველების წარმომადგენელთა სათანადო რიცხვის ყოფნა თბილისის თვითმართველობაში. პრესამ და მთელმა ქართველობამ უნდა უარყოს ის ლაქიური წესი, რომ ქალაქის თვითმართველობაში ერთი ორი ხმოსანი იყოლიოს სომხობის კეთილ სურვილისა და მოწყალების შემწეობით.

მოწყალების მაგიერ—**უფლება**, აი რა უნდა მოვითხოვოთ. ეს აზრი უნდა მოვსდოთ ჩვენს სოფლებს, მთელ საქართველოს. ქვეყანამ უნდა მხარი დაგვიჭიროს. ეს იქნება ნამდვილი ბრძოლა, და შეგნებული პოლიტიკურ-ეროვნული ნაბიჯი. დღეს სხვანაირი დროა, ვისარგებლოთ ამ მომენტით. მთელი ეს სისტემა ბრძოლისა, ჩემის აზრით, უნაკლულოდ არის გამოთქმული, ამ შემთხვევის გამო უკვე ნახმარ ორ სიტყვაში: „აქტიური ბოიკოტი“. ქართველობა უნდა დარაზმდეს ქალაქის არჩევნებისათვის აქტიური ბოიკოტის საწარმოებლად, ამას მოითხოვს მომენტის ეროვნულ-პოლიტიკურად შეცნება-გამოყენება.

ძველი ქართველი.

გ-ნ ნ. თავდგირიძის შუამდგომლობის გამო

ამას წინად „საქართველოს“ ერთერთ ნომერში მოთავსებული იყო წერილი ნ. თავდგირიძის ახალი შუამდგომლობის შესახებ, რათა ოსმალეთიდგან გადმოსულს ჩვენს მეზობლებს უფლება მისცემოდათ სოხუმის ოლქში მამულის შეძენისა. ამ შუამდგომლობამ უნებურად მომაგონა ამ ჟამად საინგილოში არსებული კანონი, რომლის ძალითაც მოსულს ადამიანს, თუნდაც იგი იქვე მეზობელ სიღნაღის მცხოვრები იყვეს, არ შეუძლიან საკუთრებად მიწის შეძენა, თვინიერ ზაქათალის ოლქის, ანუ საინგილოს მცხოვრებისა. ჩვენ აქ ამ კანონის სიკარგესა და სიცუდეს არ შევეხებით, ჩვენ გვინდა გავახსენოთ მკითხველს მოკლე ისტორია ამ კანონის აღმოცენებისა და მაშინ მკითხველიც ადვილად დაინახავს მის ავკარგს ღირსებას.

ეს კანონი თუ არა ვსცდები ამ 50—40 წლის წინად შემოვიდა ძალაში მთელს საინგილოში და მისი ინიციატორი და შემომღები იყო ოლქის უმფროსი ბ. სერაფიმოვიჩი, ტომით რუსი, რომლის ხსოვნაც სამარადისოდ დარჩება საინგილოში. ეს ფხიზელი და ხალხის მოყვაოული ადმინისტრატორი მოვიდა თუ არა საინგილოში საშინელი სურათი წარმოუდგა თვალ წინ, სურათი ადგილობრივ მცხოვრებთა მიწა-წყლის განიავებასა და სულ მცირე სასყიდელში შორიდგან მოსულს სომეხთაგან მისი შეძენისა. საქმე ისე იყო თურმე, რომ ათი-ხუთმეტი წლის შემდეგ, რომ დასცლოდათ სომხებს და ეს ღვთისნიერი კაცი არ მოვლინებოდა მფარველად მცხოვრებლებს საინგილოს მთელი მიწა-წყალი უცხოთა ხელში, გადავიდოდა. სერაფიმოვიჩმა თურმე ფიცხლავ აღძრა შუამდგომლობა, რომ საინგილოში აკრძალულიყო უცხოებზედ მამულის გაყიდვა და მისი შეძენა მარტო ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებლებსა ჰქონოდა. ხოლო ის მამულები რაც აქნობამდის სომხებსა და სხვათ ჩაეგდოთ ხელში ძალით ჩამორთმეოდათ მათ და გადასცემოდათ ძველს მეპატრონეებს. ამბობენ, შუამდგომლობაში ისეთ ნაირად ჰქონდა დასურათხატებული სერაფიმოვიჩს საინგილოს მცხოვრებთა უმწეო მდგომარეობა, მათი მამულ-დედულის განიავება და გაბოგანოვება ხალხისა, რომ მთავრობა არ შეიძლება არ დასთანხმებოდა ოლქის უფროსსო. სერაფიმოვიჩმა სურვილს მიაღწია და საინგილოში აღკრძალა მამულების გაყიდვა მისულებზედ, ხოლო ვისაც უკვე შეძენილი ჰქონდა, იმათ უნდა დაებრუნებინათ იძულებით ძველ პატრონებისთვის. ამბობენ, სერაფიმოვიჩი ერთს დიდს სოფელში მივიდა, რომელშიაც ბლომად მოიპოვებოდნენ სომეხი ვაჭრები დიდათ აღშფოთებულნი მისი მოქმედებით, მოსთხოვა მათ ხელწერილები მამულის შეძენის შესახებ და როცა ყველამ მიუტანა, ერთმანეთზედ დაალაგა, გადახია, ლუკმა-ლუკმად აქცია და გადაყარაო.

ამგვარად შეარჩინა მამა-პაპეული მამული სერაფიმოვიჩმა ინგილოებს. დარწმუნებული ვარ ეს იძულებითი კანონი რომ არ ყოფილიყო, დღეს საინგილოს მცხოვრებთ მთელი მამული ხელიდან ექნებოდათ წასული, მისი ბატონ-პატრონი სხვა იქნებოდა და ინგილო ბოგანო—უსახლ-კარო იქნებოდა, სხვისა ხელის შემაცქერელი.

აი ასეთი საშვილიშვილო საქმე ჩაიდინა სრულიად უცხო კაცმა, შორით მოსულმა, რომელმაც ესოდენი გულმტკივნეულობა გამოიჩინა ჩვენის ბედნიერობისადმი, იმ დროს, როდესაც მეოცე საუკუნეში ჩვენი სოხუმელი მოღვაწენი პირიქით შუამდგომლობასა სძრავენ და მთავრობას შეჰღალდებენ—ნება მიეცით მოსულებს სოხუმის ოლქში მამულის შეძენისო. მამულის შვილობაც ასეთი უნდა.

მე არ ვიცი, რომ ასეთი კანონი სავსებით კარგი იყვეს, რასაკვირველია მას ბევრ კარგს თვისებებთან ცუდიც აქვს, მაგრამ იმ მდგომარეობაში მყოფთათვის, როგორც მაშინ იყვნენ ინგილოები, ამ კანონს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ხალხი მას შემდეგ შეგნებაში შევიდა და არამც თუ სხვაზედ არ აბოძებს მცირე სასყიდელში მამულს, თითონ ცდილობს, თუ კი გასასყიდი გამოჩნდა სადმე შეიძინოს და შეიმატოს.

მას შემდეგ და უფრო კი ამ ბოლო დროს ბევრი უცხო ცდილობდა აქაურს ნაყოფიერის მამულის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ხალხი იმდენად შეგნებულია ეხლა, რომ იმას ადვილად ვეღარავინ ვერ წაიცდენს. ასეთი უნაყოფო იყო მეცადინეობა რამდენიმე სომხის ამხანაგობისა, რომელთაც განეძრახათ საინგილოს დიდძალის მინდვრების, აღიაზლოსა და სარიჯას ხელში ჩაგდება იჯარით მაინც დიდის ხნობით, რადგანაც ყიდვა აღკრძალული იყო. რას არა ჰპირდებოდნენ მოსულები, ასე გასინჯეთ შვილების გაზრდასაც კი თავისი ხარჯით გიმნაზიებსა და სხვა სასწავლებლებში, მაგრამ ვერავინ ვერ დაიყოლიეს. ასეთივე უნაყოფო იყო მეცადინეობა რუსებისა, რომელნიც ბევრსა მეცადინეობდნენ მამულის შესაძენად და მრავალი დამხმარეც ჰყავდათ, მაგრამ ვერსად გახდნენ რამეს, რადგანაც მიწის სყიდვა კანონით აკრძალულია და იჯარით აღება კი აგრე რიგად ხელსაყრელი არ იყო.

ამ გვარად ინგილოებს შერჩად საკუთარი მამული ხელში და ეხლა კი როცა ხალხი უფრო შეგნებით და სიყვარულით უცქერის მამულის საჭიროებას, გინდაც გაუქმდეს ეს კანონი, იმდენად საფრთხე აღარ არის.

ჩვენი მოღვაწეთა მამულიშვილობა იმაში უნდა გამოიხატოს, რომ მოსულთაგან დაიცვას ჩვენი მიწა-წყალი და არა გაიღოს კარი და ფიანდაზად მიარჯვას თვისი ავლადიდება.

ზ. ედილი.

აჭარის გასაჭირი

(მოხსენება თ-დ ი. ზ. ანდრონიკაშვილისა)

ხერთვისის სასოფლო საზოგადოების ოლქი (ბათომის გუბერნია) უმთავრესად მდ. მაჭახელის წყალის სეობაში მდებარეობს, ხოლო ნაწილი კი აჭარის წყალის ქვემო მდინარეობაზე (კაფნის თავი, კიშე, მაღლა-უანა, ხერთვისი). მაჭახელის ხეობა მთაგორიანი დაბურული ტყით შემოსილი ადგილია, თხილნარიანი; ამ დაქანებულ ფერდობებზე აქა-იქ პატარ-პატარა სახნავი ადგილებია; ეს სახნავი ადგილები დიდის შრომითა და ჯაფით არის გაწმენდილ-დამუშავებული ამ ფრიალო ფერდობებზე ტყისა და ჯაგნარის გაკაფვით. ეს ახოები მთელი ხეობის დასწვრივ ჩასდევს. აქ ყველგან ვერ მოხერხდება გუთნით ხვნა, რის გამოც ხშირად მხოლოდ მოსთოხნიან ხოლმე და ისე სთესენ. აქ არ მოიპოვება არც სათიბი და არც საძოვარი იალაღები, რის გამოც მესაქონლეობა აქ ფეხს ვერ იკიდებს. აქ უპირატესობა ეძლევა თხების მომრავლებას, რადგანაც ადვილად ნავარდობენ ფერდობებზე და ნეკერითაც იოლათ მიდიან. მესაქონლეობას უფრო მთის სოფლებში, მისდევენ, სადაც იალაღი მოიპოვება. ამავე მთის სოფლებში, ყვავილოვან იდგილების სიუხვის წყალობით ჩინებულად ხეირობს ფუტკარი, და მკვიდრნიც ერთგულად მისდევენ მეფუტკრეობას.

მიწის დამუშავება თითქმის მხოლოდ სიმინდის მოყვანით განისაზღვრება. სიმინდს შიგ ურევენ ლობიოსაც. მიწია სიმკირის გამო, მცხოვრებნი იძულებულნი არიან ერთ და იმავე ადგილში ყოველ წლივ მოიყვანონ ჭირნახული, რის გამოც მიწა მალე იფიტება, მით უმეტეს იქ, სადაც ნაკელი (სასუქი) არ მოეპოვებათ.

ბაღოსნობას ნაკლებად მისდევენ, თუმცა ადგილის მდებარეობა თითქოს ხელს უნდა უწყობდეს ამას. მაჭახელას ხეობაში უხვად არის კაკალი (ნიგვზის ხე), რომელიც გასასყიდათაც გააქვთ.

ხეობიდან-ხეობამდე და სოფლიდან-სოფლამდე მიმოსვლა საცალფეხო ბილიკებით სწარმოებს, ქვა-ღორღიან, მთიან ადგილებზე. ბილიკების სიგანე $1^1/_2$—2 არშინამდეა.

გზების უქონლობა და მიწის სიმცირე მეტად უხუგეშო მდგომარეობაში აყენებს ადგილობრივ მკვიდრთ, რადგანაც ჩვეულებრივ დროსაც კი საკმაო წლის სარჩო არ მოსდით. ომიანობამ ხომ შეუბრალებლად შეახო თავისი გამანადგურებელი ხელი მთელ ამ კუთხეს და საუკუნოებით წვა-დაგვით შექმნილი კულტურა ცეცხლს მიეცა. ყოველისფერი, რაც კი ყოველდღიურის ჭაპან-წყვეტით, ნახევრად მშიერ-მწყურვალ თამბათა შრომით შექმნილა, რაც კი წარმოადგენდა საუნჯეს და იმედს მომავლის უზრუნველყოფისას, ყოველივე ეს ომის ქარტეხილმა ბევრს სოფელში მიწასთან გაასწორა.

მდ. მაჭახელის წყალის შესართავიდან, სახელდობრ სოფ. მაჭახელის პირიდან სოფ. ჩხუთუნეთამდე საშინელი სურათი იშლება, ყველაფერი დანგრეული და გადამწვარია. ამ ხეობაში, გზის დასწვრივ, თითქმის თხუთმეტი ვერსის მანძილზე არც ერთი სახლი არ გადარჩენილა დაწვა-დანგრევას, მხოლოდ ჩაშავებული, ჩანახშირებული ნანგრევები საცოდავად გამოიყურება.

ამ სოფლებში კარ მიდამოსა და ხალხის ავლა-დიდების გარდა ომიანობამ ადამიანიც ბევრი იმსხვერპლა. სოფ. ღვარაში 18 კომლიდან და სოფ. მაჭახელის პირში 12 კომლიდან არც ერთი კომლი არ გადარჩენილა. სოფ. სინდიეთში 11 კომლიდან მხოლოდ 1 კომლი გადარჩა. სოფ. ქედ-კედში 19 კომლიდან მხოლოდ სამი კომლიღა გადარჩა.

ხერთვისის სასოფლო საზოგადოებაში 27 სოფელი ითვლება: ეფრატი (117 კომლი), ქვაბის-თავი (11 კომლი) ზედ-ვიკე (25 კომლი), აკრჩია (28 კომლი), მინდიეთი (74 კომლი), ხერთვისი (29 კომლი), გორგაზეთი (17 კომლი), საფუტკრეთი (11 კომლი), ჩხუთუნეთი (სკურდიდის გარდა 55 კომლი), ჩიკუნეთი (50 კომლი) სულ 307 კომლი. ეს სოფლები, სოფ. ჩხუთუნეთის ზემოდ ხეობაში მდებარე, სრულებით არ მოჰყვნენ ომიანობის ფარგალში. ამ სოფლებში შეიხიზნენ ქვემო-აჭარიდან გამოქცეული აჭარლები და ამ მთის მცხოვრებთა ანაბარად სცხოვრობდნენ. ასეთმა ძმურმა მზრუნველობამ შემოხიზნულ თანამოძმეებზე, რა თქმა უნდა, ნივთიერად დააზარალა მთის მოსახლეობა და დააქვეითა კიდეც. ამ სოფლებს ეხლა უპირთ სათესლე, მით უმეტეს, რომ ამ მხრივ ყოველწლივ საგრძნობი იყო ნაკლულევანება.

მეორე არსებითი საჭიროება ამ კუთხისა გახლავთ ქ. ბათომიდან მოწყვეტა. მიმოსვლას ძალიან აფერხებს ის გარემოება, რომ ნება დაურთავად ბათომში შესვლა აკრძალულია. ეს კუთხე კი უბათუმოთ ერთს დღესაც ვერ გასძლებს, რადგანაც ყოველისფერი ბათომიდან მოაქვს. ბათომში შესვლის ნებართვა კი ყოველთვის უნდა აიღონ ხოლმე ქედში უფროსთან, რომელიც ხშირად შინ არ იმყოფება. საჭირო იყო, რომ სანდო პირებს მაინც მუდმივი მოწმობა ჰქონდეთ ბათომში შესვლისათვის.

ამ მხრივ სასურველია, ბათომის ახლო-მახლო სოფლებსაც შეეკავათი მიეცეთ რამე და გაუადვილდეთ ბათომში შესვლა და საჭი ო ნივთების გატანა.

ომიანობისაგან განსაკუთრებით დაზარალდა სოფ. სკურდიდი, ცხემლანა, აჭარის აღმართი და ჩანივრი, რომლებიც მაჭახელის შუა ხეობაში მდებარეობენ. ამ ოთხმა სოფელმა, რომლებიც ყველაზე უმდიდრესი სოფლები იყო, დაჰკარგა მთელი თავისი საცხოვრებელი, სახლის მოწყობილება, საქონელი, სანოვაგე და სხვა.

გასაოცარის გულგრილობით, ხმის ამოუღებლად იტანენ ამ გასაჭირს და გამომძიებელ კომიტეტს არც ერთის სიტყვით არ მიჰმართეს, რათა მათ მომართ გამოეჩინათ შებრალება. ყოველი ცნობები ნამდვილი, ჭეშმარიტი, გაუზვიადებელი მისცეს კომიტეტის წევრებს.

გასაოცარი იყო სულ ყველას სულის სიმტკიცე.

უსახლკაროდ დარჩენილებს დროებით მოუხუხულებიათ ქოხები, ზოგი სასიმინდეში მოთავსებულან, ზამთრისთვის თავშესაფარის აგების იმედი არსაიდანა აქვთ ტ ისევ იმ ბედნიერ მეზობლებს თუ შეეხიზნებიან, ვისი სახლიც შემთხვევით გადარჩენილა გადაბუგვას. გაზაფხულზე კი იმედი აქვთ, სახლების აგებას შეუდგებითო. დაზარალებულ სოფლებში მხოლოდ სოფ. სკურდის მიეცა 50 ფუთი სათესლე სიმინდი და დათესეს კიდეც. ნათესები აქვს აგრედვე სოფ. ცხემლანასა და ჩანივრის, რადგანაც მათ თავ მინებებული სიმინდი მოსპრეს და სათესლე შეინახეს. აჭარის-აღმართში 10 კომლიდან მხოლოდ 3 კომლსა აქვს ცოტაოდენი მოხნულ-მოთესილი, დანარჩენებს კი მთელს ზამთარს შიმშილი ელით. ამ სოფლელებს კომიტეტმა დაურიგა თითო სულზე მანათ ნახევარი ფუღად, 1 გირვანქა საპონი, 3 გირვანქა მარილი, 1 ფუთი სიმინდი დიდებს, ხოლო ნახევარი ფუთი სიმინდი პატარებისთვის. რათქმა უნდა ეს მცირეოდენი დახმარება არსებითად ვერ უზრუნველჰყოფს მათ. აუცილებლად საჭიროა ყველა დაზარალებულ სოფლებისათვის ლოგინი, თეთრეული, ფეხსაცმელი, სახლის ავეჯი, შინაური საქონელი და სხვა.

უფრო უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება სოფ. კიბესი 24 კომლი. ეს სოფელი აჭარის წყალის შესართავთან მდებარეობს და მცხოვრებთ აკრძალული აქვთ თავის ბინაზე ცხოვრება და იძულებულნი გახდნენ სხვა ადგილებს შეჰხიზნებოდნენ. ერთი კომლი მთგანი სცხოვრობს უჩხეთში, ერთი ურეხში, დანარჩენები კი სოფ. ჩალახმელაში, რომელიც სიმაგრის ფარგლის გარეშე მდებარეობს.

(შემდეგი იქნება)

წ.-კ. საზოგადოების სა-პრემიო თანხები

საზოგადოებას აქვს 3 საპრემიო თანხა: უგან. თავ. გრიგოლ დადიანისა, ნ. ბ. ღოღობერიძისა და თავ. ნ. რ. ერისთავისა.

თ-დ დადიანის სახელობის თანხის სარგებლიდან პრემიად მიეცემა 400 მ. 2 წელიწადში ერთხელ, ნ. ბ. ღოღობერიძის თანხის სარგებლიდან ყოველ წლობით 300 მან.

პრემია მიეცემა იმას, ვინც დასწერს და წარადგენს საკონკურსო საუკეთესო თხზულებას შესახებ ქართული ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიისა, ეთნოგრაფიისა, ლიტერატურისა, მუსიკისა და საზოგადოდ თხზულებას საქართველოს შესახებ.

თ-დ დადიანის სახელობის პრემიის მისაღებად წარმოდგენილი თხზულება უსათუოდ ქართულ ენაზე უნდა იყვეს დაწერილი, ღოღობერიძის სახელობის პრემიის მისაღებად-კი უპირატესობა ეძლევა ქართულ ენაზე დაწერილ თხზულებას, მაგრამ საკონკურსოდ შეიძლება წარდგენილ იქნას რუსულსა ანუ რომელიმე ევროპიულ ენაზედაც დაწერილი. საკონკურსო თხზულება უნდა იქნას წარდგენილი წ.-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში 1917 წლის 1-ლ იანვრამდე. საკონკურსო თხზულება შეიძლება იყვეს ხელთნაწერად და დაბეჭდილიც, მაგრამ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1914 წელზე ადრე გამოცემული.

თ-დ ნ. რ. ერისთავის პრემიის ფონდათ გადადებულია 10.000 მანეთი. ამ თანხიდან წლიური სარგებელი 400 მანეთი პრემიად მიეცემა ქართულის სიტყვა-კაზმულის მწერლების საუკეთესო დასტამბულს ანუ ხელთნაწერს ნაწარმოებს. პრემია მიეცემა საუკეთესო ორიგინალ ნაწარმოებისათვის. არ არის აკრძალული პრემიის მიცემა მაღალ ღირსების ნათარგმნ მხატვრულ ნაწარმოებისათვისაც, ხოლო უპირატესობა მაინც ეძლევა ორიგინალ ნაწარმოებს. პრემიის განაწილება შეიძლება სხვა და სხვა ნაწარმოებთა შორის, ხოლო არა უმეტეს ვიდრე სამ ნაწილად.

წ.-კითხვის საზოგადოება ყოველ წელიწადს გამოაცხადებს სიას იმ ნაწარმოებთა, რომელნიც კონკურსის ღირსად ჩაითვლებიან. ამ ნაწარმოებთა ავტორებმა ერთი თვის განმავლობაში წინააღმდეგობა თუ არ გამოაცხადეს, მიჩნეულ იქნება, რომ ისინი თანახმანი არიან მათი ნაწარმოები საკონკურსოდ წარდგენილ იქმნან. იმ ავტორმა, რომელსაც ხელთნაწერი აქვს და სურს საკონკურსოდ წარადგინოს, უნდა გაუგზავნოს წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობას.

პირველი პრემია გაიცემა 1917 წლის იანვარში იმ თხზულებათათვის, რომელიც დაწერილია ანუ დასტამბული არა უადრეს 1915 წლის იანვრისა. შემდეგში-კი პრემია მიეცემა იმ ნაწარმოებს, რომელიც დასტამბულია ანუ დაწერილი პრემიის ვადის წინა წელში, მაგალითად, 1918 წლის პრემია მიეცემა იმ თხზულებას, რომელიც დაწერილი ანუ დასტამბული იქნება 1917 წლის იანვარში.

პრემიის დანიშვნის უფლება ეკუთვნის წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობას, რომელიც ირჩევს ამისათვის საკონკურსო ჟიურის. ჟიურიში უთუოდ უნდა იქმნან წევრებად მიწვეულნი გადამწყვეტი ხმით: დრამატიულ საზოგადოების წარმომადგენელი, სიტყვაკაზმულ მწერლობის საზოგადოების წარმომადგენელი და თვით დამაარსებელი თანხისა კნ. ე. მ. ასული ერისთავისა, რომელსაც ნება ეძლევა, თუ თითონ ვერ დაესწრება რაიმე მიზეზის გამო, გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი.

თუ წ. კ. გ. საზოგადოება რამე მიზეზის გამო დაიხურა და მისი საქმეების ლიკვიდაცია მოხდა, ეს თანხა გადაეცემა, წ. კ. საზოგადოების კრების დადგენილების თანახმად, ერთ-ერთ კულტურულ დაწესებულებას, რომელსაც იგივე მიზანი აქვს.

წმ. აგო თბილელი

(8 იანვარი)

(დასასრული)

საქართველო მადლობის გრძნობით შეხვდა აბოს სიკვდილს. საქართველოს მაშინდელმა კათოლიკოსმა სამოელმა სთხოვა მღვდელს იოანე საბანიძეს აღწერა მისი ღვაწლისა, რათა დაიდვას იგი აღწერა წმიდასა ეკლესიასა შინა **მოსახსენებელად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩვენსა**... აი რაგვარ ზრუნავს მომავალი თაობის აღსაზრდელად საქართველოს კათოლიკოსი. სურს აბოს ღვაწლი გადაეცეს საშვილიშვილოდ მომავალ თაობათა საწვრთნელად. სურს ძველი თაობა ახალ თაობის მოძღვარი, გზის მაჩვენებელი შემდეგი თაობის ხიდი იყოს. ამ სურვილში ჩაქსოვილია ერის სულიერ და ფიზიკურ უკვდავების წინდი. რაც ბევრია სამოელისთანა გვამი ერის შემადგენლობაში, მით უმეტეს უზრუნველ ყოფილია მისი მყობადი... ასეთ გვამთა ღვაწლის გათვალისწინება მშობლიურ წარსულის დაკვირებით შესწავლასთან ერთად შეამუშავებს ნიადაგს, რომელზედაც აღმოსცენდება ეროვნული თავ-მოყვარეობა, ეროვნული შეგნება... და დიდია ერი, როს ეს შეგნება წინ წარუძღვება... აბომ შეიყვარა ქართველი ერი, რომელიც თვით მონურ უღლის ქვეშ მგმინავი, მისი სიყვარულის ღირსი აღმოჩნდა... ქართველი არა მხოლოდ თმენით იყო ცნობილი, არამედ დრო გამოშვებით თვისი სიგმირით და თავდადებულ ბრძოლითაც თავისუფლების მოსაპოვებლად, რომელიც არსად და არა დროს არავის შეუძენია უსისხლოდ... პატარა ქართველი ერი ხშირად თავისზე ძლიერ მტერს თავზარს სცემდა და თვის სახელს დიდების შარავანდედით მოსავდა. მცირე აზიასა და კავკასიონის წინა მხარეში თუ კი ვინმე იხსენებოდა, ქართველიც უსათუოდ იხსენებოდა... აწვალეს აბო თბილისში, სადაც, არაბთა ბატონობის მიუხედავად, მრავლად სცხოვრობდა ქართველი, რომელთაც ჰქონდათ აქ კულტურული დაწესებულებანი და ჰყავდათ ნასწავლი სჯულის მოძღვრები, გაჩაღებული ჰქონდათ წირვა-ლოცვა და მოძღვრება ქართულ ენაზე, ჰქონდათ საკმაოდ მდიდარი მწერლობა, რომელიც დაწყებული იყო წმ. აბო,.. მერვე საუკუნეში თბილისი ნამდვილად **ქართული** ქალაქი იყო, თუმცა იქ არაბთა ემირი ბრძანდებოდა, და თავზარი დასცა თბილისის ქართველებს აბოს წამებამ და თანაც გამსჭვალა ისინი მისდამი პატივისცემის გრძნობით, რომელიც გულის სიღრმიდამ ამოსკდა, გარეშე გამოჩდა და მათ უშიშროების გრძნობა შთაბერა. „იწყო სიმრავლემან ქალაქისამან ქრისტიანეთაგან და განაგდეს შიში მძლავრთა მათ (არაბთა) და განვიდოდეს ადგილსა მას, სადაცა დაწვნეს ხორცნი იგი წმიდისა მოწამისანი. ყოველნივე სიხარულითა და მადლობითა ქრისტესითა მივიდოდეს **და აღიღებდეს მიწასაცა მის ადგილისასა**“..

შორეულ მომავლის ქართველებიც პატივს ცემდენ წმ. აბოს ხსენებას. ტაძრებიც-კი იყო აშენებული მის სახელზე, მაგალითად, ჰერეთში (აწინდელ საინგილოში). მაგრამ ის კი სირცხვილია ჩვენი ეროვნულ თვალსაზრისით, რომ მისი სალოცავი ნიში ძლივს მოსჩანს მეტეხის კლდის ძირში, ვიწრო ქუჩაზე, ჩაკვეტებულია პატარა სავაჭრო სახლებსშორის... ჩვენი მოვალეობაა არ მივცეთ დავიწყებას არც ერთი გმირი, რომელიც წარსულში ჩვენი ეროვნულ თვითშეგნების გაღრმავებას ემსახურებოდა... ყოვლად სამღვდელო კირიონმა, ოდეს ის ქართლის ეპარქიაში მსახურებდა ალავერდის ეპისკოპოსის წოდებით, განიძრახა წმ. აბოს პატივსაცემლად ავლაბარში მის სახელის პატარა ტაძრის აშენება. საქმეს შეუდგა ჩვეულებრივი ენერგიით, მაგრამ საქართველოს მტრებმა მის მოღვაწეობას ქართველთა შორის ბოლო მოუღეს: ქართველი მღვდელმთავარი გადაიყვანეს ბალთაში ეპისკოპოსად. მას უკან მისი ჩინებული ჰაზრი დავიწყებას მიეცა...

ი. ფერაძე.

მგზავრის შენიშვნები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

კვლავ გაისმა ზარბაზნის ჭექა-ჭუხილი ოსმალეთის ასპარეზზე და ხალხი საგონებელში ჩაცვივდა, და განსაკუთრებით ოსმალ-ქურთები, რომელნიც დაღონებული მწარედ მოსთქვამენ უბედურებას; მათი აზრით კვლავ დაიწყება დარბევა. ხოცვა-ჟლეტა მათი და გაიძვერა ქვემძრომ ჯაშუშების თარეში, რომელნიც მზათ არიან დალიონ მშვიდობიან ოსმალთა სისხლი. ვერაფრით ვერ ვაჯერებ ამ გულუბრყვილო ხალხს, რომ ოსმალეთის ჯარი ვეღარ ეღირსება შემოსვლას, რადგან დიდი ძალი ჯარი და იარაღი გვაქვს და მთავრობაც ეცდება, ძველ ჯაშუშთა აღარ დაუჯეროს თქვენ ორგულობაში, და რომ გულწრფელობა თქვენი არა სჯეროდეთ არც დახმარებას გაგიწევდათ მეთქი, მაგრამ მაინც განაგრძობენ შფოთვას... ჩემთან მოვიდნენ და მთხოვეს, ვიშუამდგომლო ან თხოვნა დაუწერო, რომ იგინიც მზათ არიან დაიცვან რუსეთის მხედრობა, ოღონდ იარაღი მოგვცენო, მაგრამ უარი უთხარი რადგან, ჩვენი ჯარი მათ ეყოფათ მეთქი, თქვენ კი მშვიდათ იცხოვრეთ. თუმცა მეტი არ იქნება, რომ ვისაგანაც ჯერ არს, განკარგულება მოახდინოს, რომ ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქციოს სოფლად მონავარდე „ახალ ჯურის მოღვაწეებს“ რომელთაც ათასგვარი დამუქრებით შეაქვთ მყუდრო მცხოვრებთა შორის შიში და ცრემლი... იმის მიუხედავათ, რომ **დღეს გამარჯვება ჩვენსკენ არის** და **ღრმად მრწამს** რომ იქნება კიდეც საბოლოოდ, მაინც ათასგვარი მოხეტიალენი სხვა და სხვა ხმებს ავრცელებენ მყუდრო მცხოვრებთა შორის —დროა ლაგამი ამოედოს, ამისთანა მოღვაწეებს...

ვ. ს—შვილი.

ქუთაისის ქალაქის წყალსადენი

ძვირად თუ სადმე მოიპოვება ისეთი ქალაქი, რომ უწყალობით გასაჭირში არ იყოს ჩავარდნილი. ასეთივე გაჭირვებაში არის ჩავარდნილი ბევრი სოფელი და წყლის ზიდვა, რამდენიმე ათეული ვერსის მანძილზე უხდებათ ხოლმე.

რომ ეს გასაჭირი თავიდან აიცდინოს ქალაქმა თუ სოფელმა, არის ერთი

ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

##